საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-10/49

09 ივლისი, 2021 წელი ქ. ბათუმი

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ტრენინგ-მოდულის „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“ სწავლის საფასურის, პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24 მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის № 68/ნ ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 05 ოქტომბრის №02 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 19 ოქტომბრის № 01-08/137 ბრძანების, ბსუ-ს ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის“ სკოლამდელი აღზრდის მიმართულების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის - **„აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“** დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 01 ივლისის № 01-02/101 ბრძანების, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის“ მასწავლებელთა გადამზადებისა და სკოლამდელი აღზრდის მიმართულების კოორდინატორის, ასოც. პროფ. თემურ ავალიანის 2021 წლის 05 ივლისის № 673588 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მასწავლებელთა გადამზადებისა და სკოლამდელი აღზრდის მიმართულების მოკლევადიანი საგანმანათლებლო ტრენინგ-მოდულის „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“ სწავლის საფასური განისაზღვროს ერთ მსმენელზე 300 (სამასი) ლარით (არანაკლებ 10 და არაუმეტეს 25 მსმენელის შემადგენლობით სატრენინგო ჯგუფში).
2. პროგრამის შემოსავლების განაწილება მოხდეს „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის“ დებულების მე-5 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად.

3. დამტკიცდეს ტრენინგ-მოდულის „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“ პირველადი **ხარჯთაღრიცხვა დანართი** 1-ის შესაბამისად (10 მსმენელის შემადგენლობით ჯგუფის გათვალისწინებით).
4. პროგრამის პერსონალის შრომის 1 (ერთი) საათის ანაზღაურება 10 მსმენელის შემადგენლობით ჯგუფის შემთხვევაში განისაზღვროს შემდეგნაირად: ა) პროგრამის განმახორციელებელი ტრენერ(ებ)ის - არანაკლებ 16,68 ლარით; ბ) დამხმარე პერსონალის წამომადგენლების (სასწავლო პროცესის მენეჯმენტისათვის) - 16.4 ლარით.
5. პროგრამაზე ბსუ-ს რექტორის კონკრეტული ბრძანების გათვალისწინებით 10 მსმენელზე მეტი მსმენელის ჩარიცხვის შემთხვევაში, ხელახლა დამტკიცდეს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შრომის ანაზღაურების ტარიფი და პროგრამის ხარჯთაღრიცხვა შემუშავდეს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების მოთხოვნათა გთვალისწინებით.
6. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
7. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორს, რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძეს), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრებს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი *ი. ჩხარტიშვილი*

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მასწავლებელთა გადამზადებისა და სკოლამდელი აღზრდის მიმართულების მოკლევადიანი საგანმანათლებლო ტრენინგ-მოდულის „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“ სწავლის საფასურის, პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ
ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 09 ივლისის №01-10/49 ბრძანების

დანართი 1

1.	**შემოსავალი 10 მსმენელზე**		
1.1.	სწავლის საფასური 1 მსმენელზე	ლარი	300
1.2.	სულ შემოსავალი 10 მსმენელზე	ლარი	3000
1.3.	ბსუ-ს წილი (40%)	ლარი	1200
1.4.	პროგრამის წილი (60%)	ლარი	1800
2.	**ტრენინგ-მოდულის განხორციელების ხარჯები**		
2.1.	**პერსონალის შრომის ანაზღაურება, მათ შორის**		
2.1.1.	ტრენინგ-მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი (ტრენერ(ებ)ი)	ლარი	1100,8
2.1.2.	**დამხმარე პერსონალი** (ასისტენტი წერითი ნაშრომების გასწორებაში)	ლარი	114,8
2.1.3.	**დამხმარე პერსონალი** (ასისტენტი ტრენინგის ორგანიზაციული საკითხებისა და დოკუმენტაციის მომზადების საკითხებში)	ლარი	196.8
2.1.4.	**დამხმარე პერსონალი** (ასისტენტი სასწავლო პროცესის მონიტორინგისათვის)	ლარი	98,4
2.1.5.	**დამხმარე პერსონალი** (ასისტენტი სწავლების ხარისხის მონიტორინგისათვის)	ლარი	82
2.1.6.	**დამხმარე პერსონალი** (ასისტენტი სერტიფიკატების აღრიცხვა-გაცემის ორგანიზაციისთვის)	ლარი	49.2
2.2.	**მატერიალური რესურსი**	ლარი	128
2.3.	**სერტიფიკატის დაბეჭდვა**	ლარი	30
2.4.	**სულ ხარჯები**	ლარი	1800
3.	**შესრულებული საათების რაოდენობა**	საათი	99

შენიშვნა: ხარჯთაღრიცხვისთვის გამოყენებულია შემდეგი მონაცემები

	პერსონალი	შესრულებული საათების რაოდენობა	1 საათის ანაზღაურება	ანაზღაურება მთლიანად
1.	ტრენინგ-მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი (ტრენერ(ებ)ი)	66	16.68 ლ	1100.8 ლ
2.	დამხმარე პერსონალი (ასისტენტი წერითი ნაშრომების გასწორებაში)	7	16,4 ლ	114.8 ლ
3.	დამხმარე პერსონალი (ასისტენტი ტრენინგის ორგანიზაციული საკითხებისა და დოკუმენტაციის მომზადების საკითხებში)	12	16,4 ლ	196.8 ლ
4.	დამხმარე პერსონალი (ასისტენტი სასწავლო პროცესის მონიტორინგისათვის)	6	16.4 ლ	98.4 ლ
5.	დამხმარე პერსონალი (ასისტენტი სწავლების ხარისხის მონიტორინგისათვის)	5	16.4 ლ	82 ლ
6.	დამხმარე პერსონალი (ასისტენტი სერტიფიკატების აღრიცხვა-გაცემის ორგანიზაციისთვის)	3	16.4ლ	49.2 ლ
7.	სულ	99		1642 ლ